დანართი №2

ა(ა)იპ სარკინიგზო
ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე
წევრი:
ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილს MES 4 25 0000452920 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანამანთელბლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 15 მაისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვნელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რეურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ლოკომოტივის მართვა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის მართვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №41 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	150
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა "ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ინდუსტრიაში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის წინაპირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ." პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა" მიზნები და მისაღწევი შედეგები ასევე ორიენტირებულია სარკინიგზო ინდუსტრიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების შესაბამისი კვალიფიცირებული კადრების მომზადებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით) თანახმად პირველი სტრატეგიული მიზნის მე-4 ამოცანას წარმოადგენს „შრომის ბაზრის მოკვლევა, არსებული მოთხოვნის, გამოკვეთილი საჭიროებებისა და სამომავლო ტენდენციის საფუძველზე განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, ახლის მომზადება;",ხოლო მე-5 ამოცანას „ახალი ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და დამატების მიზნით სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დასამტკიცებლად წარდგენა;" აღნიშნული საკითხების შესრულება ასევე ინტეგრირებულია კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმაშიც.

„ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის" (დამტკიცებულია 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით ,ცვლილება 2025 წლის 31 მარტის №64 ბრძანებით) თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ან/და სხვა შესაბამისი სპეციალისტი იძიებენ სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით; შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს. შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამის დამატების შესახებ.

წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება დაწესებულების ერთ-ერთი დამფუძნებლისა და დარგის ერთადერთი დამსაქმებლის სს „საქართველოს რკინიგზის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, დაგეგმილ და განხორციელების პროცესში არსებულ პროექტებს, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს, რომელიც აერთიანებს ქვეყნის მოთხოვნებს ტრანსპორტის, ლოკომოტივის მართვის, მძიმე ინდუსტრიის სხვადასხვა დარგების მიხედვით და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. დასაბუთებაში წარმოდგენილი ინფორმაციისა და შესაბამისი მტკიცებულების თანახმად, კვლევებმა და სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე (ქვეყნის გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე) ლოკომოტივის მართვის მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის კადრებზე მოთხოვნა და მისი სწრაფი ზრდის ტენდენცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მტკიცებულებების შესწავლითა და გასაუბრებით დადგინდა, რომ ლოკომოტივის მართვა წარმოადგენს სარკინიგზო ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, რომლის განვითარებისთვისაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შრომის ბაზრისთვის შესაბამისი კვალიფიციური კადრის მომზადება. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად რკინიგზის ინდუსტრიის განვითარებისთვის ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ ლოკომოტივის მართვა" განხორციელება ექსპერტთა ჯგუფის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ინდიკატორი 2.1.1.1 შეფასდა შესაბამისია და პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის № 41 ბრძანებით) მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები გაწერილია „ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 04 დეკემბრის №221ბრძანებით), იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მტკიცებულებების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად **ინდიკატორი 2.1.1.2 შფასდა შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელსაწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა;
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ერთი სასწავლო A, B, C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოკომოტივის მართვა“ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას და დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“ საჭიროებებს, რა მიზნითაც, კოლეჯის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა საერთო კვოტა 150 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, მათ შორის 130 ადგილი არაინტეგრირებული და 20 ადგილი ინტეგრირებული სწავლებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას სს საქართველოს რკინიგზაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 2.1.1.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ლოკომოტივის მართვა“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 2.1.1.4 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. ინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან ვერ შეფასდა, რადგან <u>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ლოკომოტივის მართვა“ არ აქვს არჩევითი მოდულები.</u>

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოკომოტივის მართვა“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №41 ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება გაწერილია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტში და ასევე „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესში , რომელთა თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 2.1.1.6 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოკომოტივის მართვა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ლოკომოტივის მართვა“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 2.1.1.7 შეფასდა შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ლოკომოტივის მართვა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ლოკომოტივის მართვა“ (სარეგისტრაციო ნომერი 10.10.1) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები, პროგრამის მოცულობა, დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული მოდულები და მისი განხორციელება განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 2.1.1.8 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლებისთვის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით);
- 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით ,ცვლილება 2025 წლის 31 მარტის №64 ბრძანებით)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოკომოტივის მართვა“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის № 41 ბრძანებით);
- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 04 დეკემბრის №221ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოკომოტივის მართვა“ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №41 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ დამტკიცების შესახებ;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი C გარემო.

პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 4 A ტიპის სასწავლო გარემო (№108, 111, 112 და 306) ყოველი მათგანი გათვლილია 30 პროფესიულ სტუდენტზე.

თითოეული აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 30 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- დემონსტრირების 4 ეკრანიანი მონიტორი, რომლებიც დაკავშირებულია სიმულატორებთან (№111 და №108).

15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი 2 B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №304 და 404).

თითოეული აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული პრინტერი.

C ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორიები №103 და №109) აღჭურვილია თანამედროვე ლოკომოტივის მართვის სიმულატორებით, ინსტრუქტორის მართვის პულტითა და მონიტორით.

დაწესებულებას ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილი აქვს მოთხოვნილი კვოტის და მოდულის მიზნების შესაბამისად აღჭურვილი ქიმიისა და ბიოლოგიის (№101) და ფიზიკის (№404) ლაბორატორიები, სპორტის ზონა და A სასწავლო გარემოები, რომელიც გამტარუნარიანია სხვა მოდულების განხორციელების მიზნით გამოყენების დროსაც.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (150 პროფესიული სტუდენტი) თეორიული მომზადების ერთდროულად გატარება. თითო აუდიტორიის დატვირთვა 60 საათი კვირაში და დამატებით 60-60 საათი სიმულატორებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება (იუს/25-015 31/03/2025წ) გაფორმებულ აქვს საწარმოსთან სს „საქართველოს რკინიგზა“. დოკუმენტის მიხედვით პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს 150 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესს მატერიალური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვებას საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პრაქტიკის ობიექტი პროფესიული საგაწმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მის კომპეტენციას მიკუთვნებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გამოყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების მქონე თანამშრომელს - პრაქტიკის ინსტრუქტორს, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო/საწარმოო პროცესში მონაწილეობის ზედამხედველობას და მათთვის შესაბამისი მითითების მიცემას, ასევე, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოში გამოცხადების აღრიცხვასა და შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის უზრუნველყოფას. საწარმოში განსახორციელებელი მოდულები და სწავლის შედეგები (180 საათი), მისი მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი და შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 საშუალებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს აუდიტორიების, მატერიალური და ადამიანური რესურსის საკმარისობის შემოწმების მიზნით ასევე გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მიმდინარე პროგრამაზე არსებული აქტიური სტუდენტების რაოდენობისა და მათ მიერ პროგრამის დასრულების თარიღის შესახებ. დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოკომოტივის მართვა ჰყავს 2023 წელს ჩარიცხული 24 აქტიური პროფესიული სტუდენტი - დასრულების თარიღი 2025 წლის 15 ნოემბერი, ხოლო 2024 წელს ჩარიცხული 20 სტუდენტი - დასრულების თარიღი 2026 წლის 25 ნოემბერი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციისა და რესურსების ფიზიკური შემოწმების შედეგად დადგინდა,რომ დაწესებულებას შესაბამისად აქვს განსაზღვრული რესურსები პროგრამის განხორციელებისთვის, რაც იძლევა არსებული და მომავალი სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

აღნიშნულიი გარემოებებიდან გამომდინარე **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა შესბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის(დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით) მიხედვითა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებელად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება კოლეჯის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის დანართით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 58 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 27 პირია განსაზღვრული, ზოგადი მოდულებისთვის 20 პირი და ინტეგრირებული მოდულებისთვის 11.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვებს, რომლის შესაბამისადაც, პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. ასევე, დირექტორის 2022 წლის 22 ივლისის №102 ბრძანებით განსაზღვრულია, რომ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომლებს ეძლევათ უფლება შეითავსონ პროფესიული მასწავლებლის საქმიანობა სასწავლო/სამუშაო კვირის განმავლობაში არაუმეტეს 20 საათის ოდენობით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის ცხრილი. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა და არ აჭარბებს 40 საათს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესის მე-9 მუხლი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, რის მიხედვითაც, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამსახურში მიიღება გასაუბრების ან კონკურსის გზით. კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება ან ინიშნება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენგები ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების სპეციფიკაციასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეები, რომელიც მოიცავდა მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომებს და სერტიფიკატებს. დოკუმენტაცის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის დროს მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები, როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასდა შესაბამისად,პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულებას ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისდ განსაზღვრული აქვს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საშუალო ან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში აკადემიური და პრაქტიკული მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი:

- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;
- წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს პროგრამის რევიზიას და წარადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის;
- მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში;
- ესწრება მეცადინეობებს კოლეჯსა და კომპანიაში;
- მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში.

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ლოკომოტივის მრთვა' პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებული ჰყავს კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის № 41 ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა აღნიშნულ პირთან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გავლილი სხვადასხვა სახის ტრენინგი, იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს, მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით, იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

აღნიშნულიდან გაომდინარე **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა სესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის №35 ბრძანებით) თანახმად ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის და ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე https://www.rtc.edu.ge. ის, ასევე იძლევა ელექტრონულ რესურსებზე წვდომის და ჩამოტვირთვის შესაძლებლობას. კოლეჯი სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpenBiblio. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) ვებ გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ავსებს მკითხველის ბარათებს, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 შეფასდა დადებითად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

6. კოლეჯს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილი აქვს თავი V. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინკლუზიური განათლება. დოკუმენტი განსაზღვრავს: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის შემუშავების პროცედურებს და მასზე პასუხისმგებლ პირებს; სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. აღნიშნულ თავში მკაფიოდ არის განსაზღვრული საჭიროების იდენტიფიცირების, შესასრულებელი სამუშაოების, რესურსების ადაპტირების პროცესი და მასზე პასუხისმგებელი და ჩართული/ შემსრულებელი პირები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს საჭიროების შემთხვევაში მექანიზმების რეალურად განხორციელების სრული მზადყოფნა დაადასტურეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6. შეფასდა შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისთვის „ლოკომოტივის მართვა“ რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს - 15 სტუდენტი, ხოლო ინტეგრირებული პროგრამისთვის - 10 სტუდენტი. ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამისთვის შემოსავლის სახეობას წარმოადგენს ვაჩერული დაფინანსება და პროგრამული დაფინანსება. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული, საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება, საქონელი და მომსახურება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოკომოტივის მართვა“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის № 41 ბრძანებით);
- კომპანიასთან სს „საქართველოს რკინიგზა“ პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება (იუს/25-015 31/03/2025წ) და დანართები;
- ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის ცხრილი;
- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 04 დეკემბრის №221ბრძანებით);
- დირექტორის 2022 წლის 22 ივლისის №102 ბრძანება;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესი;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის № 41 ბრძანება;
- კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის №35 ბრძანებით);
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ფიზიკური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები გაწერილი აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესში. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, კოლეჯის ძირითადი დამსაქმებლის, სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებთან ერთად წელიწადში ორჯერ კოლეჯში იმართება შეხვედრა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასდა შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანალებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2. შეფასდა შესაბამისად, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით ,ცვლილება 2025 წლის 31 მარტის №64 ბრძანებით);
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება - 2024 წლის 26 აპრილის №56 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ სასწავლო გეგმები, მათ შორის სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია მოდულები ლოგიკური თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, შუალედური შეფასების ინტეგრირება, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №170/ნ 2019 წლის 19 აგვისტო განსაზღვრული მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. შეფასდა შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობა დაგეგმილია 2 ცვლაში. დაწესებულების პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ცხრილის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და ცხრილი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების სასწავლო პროცესზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. C გარემოში დამონტაჟებულია სიმულატორები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი სწავლების გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. კოლეჯს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. მექანიზმებით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4. შეფასდა შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი პრაქტიკის კომპონენტების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს მის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და მთავარ დამსაქმებელთან სს „საქართველოს რკინიგზა“ რომელთანაც გაფორმებული აქვს პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება (იუს/25-015 31/03/2025წ). პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს ერთდროულად 150 პროფესიული სტუდენტის სწავლებას და იღებს ვალდებულებას მათთვის ინსტრუქტორის, მატერიალური ტექნიკური ბაზისა და რესურსების გამოყოფაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.5. შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №30 ბრძანებით, ცვლილება - 2024 წლის 02 აპრილის №38 ბრძანებით), რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისსთვის „ლოკომოტივის მართვა“ შრომის უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს და უსაფრთხოების მოთხოვნებს მუშაობის დაწყებამდე და მუშაობისას.

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებისას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო გარემოს ფიზიკური დათვალიერებისას დადგინდა რომ სწავლი პროცესი მიმდინარებს უსაფრთხო გარემოში და უსაფრთხოების წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6. შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა;
- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 04 დეკემბრის №221ბრძანებით);
- პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება (იუს/25-015 31/03/2025წ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №30 ბრძანებით, ცვლილება - 2024 წლის 02 აპრილის №38 ბრძანებით);

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის №111 ბრძანებით) თანახმად შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. წესი მკაცრად განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს და სტრუქტურას, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურას, შეფასების მტკიცებულების შეგროვება შენახვის მექანიზმებს, სტუდენტის შეფასების პროცედურებს, მათ შორის განმეორებითი შეფასების, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი.

პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა შეფასება დამატებით რეგულირდება საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართი №3 შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1 შეფასდა შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მუხლი 6-ში გაწერილია ვერიფიკაციის მექანიზმები. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა მიმდინარეობს დოკუმენტში წარმოდგენილი დანართების შესაბამისად.

ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის შესაბამისად შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს შეფასების მტკიცებულებები.

დოკუმენტში განსაზღვრულია მუხლი 7. პუნქტი 5. შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. შეფასების გაფორმების დოკუმენტები (უწყისები) პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 მუხლის შესაბამისად კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ივლისის №57 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის №51 ბრძანებით) თანახმად პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.4 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის №111 ბრძანებით);
- კომპანიასთან სს „საქართველოს რკინიგზა“ პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება (იუს/25-015 31/03/2025წ) და დანართები;
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ივლისის №57 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის №51 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

29.05.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....